

ქართული მიმართულება

1901

I

კარგად მოგეხსენებათ, რომ საზოგადო ასპარეზზე მომქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გამორკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულებით, და ამასთან მხნედ ახორციელებს ამ თავისს მიმართულებას, პროგრამასა. მით უმეტეს საჭიროა ამისთანა განსაზღვრული, ნათელი მიმართულება მთელის ერისათვის, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელსაც ბრძოლა არსებობისთვის, მეტად გასძნელებია საზოგადოდ უკუღმართთა გარემოებათა წყალობით.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი ერი სწორედ ამისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. რათა ამ გაჭირვება არ იმატოს, არამედ შემცირდეს თანდათან და ბოლოს გაუჭირვებელ არსებობად გარდაიქცეს, საჭიროა გადაჭრილი გზა, მიმართულება, პროგრამა. აქვს ჩვენს ერს პროგრამა თუ არა? არსებობს ქართული გეგმა მოქმედებისა, თუ ჩვენის ცხოვრების გზა ბინდ-ბუნდით არის მოცული? დიად, ქართველობას აქვს განსაზღვრული მიმართულება, გადაჭრილი სიმბოლო პოლიტიკურის სარწმუნოებისა. ზოგს გრძნობით სწამს ეს სიმბოლო, ზოგს ნათლად აქვს გათვალისწინებული; ყველანი კი მიმდევარნი არიან მისნი საზოგადოდ.

რაში მდგომარეობს ეს სიმბოლო? იგი რთული არ არის; შედგება სულ ორის მუხლისგან.

პირველი მუხლით ქართველობა აღიარებს თავისს მტკიცე ერთობას რუსეთთან და ერთგულებას ხელმწიფე იმერატორისას, როგორც საქართველოს მეფისას. ეს ახალი მცნება არ არის ქართველთათვის. იგი დიდი ხნისაა. ჩაისახა იგი ქართველთა გულში ჯერ შუა საუკუნოებში იზარდა, იზარდა და ბოლოს გათავდა რუსეთთან შეერთებით. ასე, რომ რუსეთთან ქართველების ერთობას, კავშირს ღრმა ისტორიული სამირკველი უძევს. იმედი რუსეთზე და მისს ხელმწიფეებზე თაობიდან თაობაზე გადადიოდა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში და ჩვენს პოლიტიკურს ერთგულებას მემკვიდრეობითი ხასიათი მიეცა. ხოლო რა ძალა და სიმტკიცე აქვს მემკვიდრეობას, ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ.

მემკვიდრეობის გარდა, ქართველებს სავსებით აქვთ გათვალისწინებული, რომ წავიდა დრო პატარ-პატარა სახელმწიფოებისა, პაწია სამეფოებისა და დადგა ხანა ფართო სახელმწიფოებისა, დიდი ფედერაციებისა, შეერთებული შტატებისა. ამის გამო პოლიტიკურს სეპარატიზმს ქართველობას დასწამებს მხოლოდ პროვაკატორი, ცილისმწამებელი, მტერი.

მეორე მუხლი ქართული პოლიტიკურის სიმბოლოსი ამბობს: გაფურჩქნეთ, გააძლიერეთ და ააყვავეთ ყველა თქვენი ეროვნულნი, ანუ ნაციონალურნი, ძალები. ჩავუკვირდეთ ამ მეორე მცნებასა. კარგად მოგეხსენებათ, რომ საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო.

ბატონებო! მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა. თუ ერთ მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია და იგი დაკარავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს და დაემსაგვსება მუხის მოჭრილს რტოსა, რომელსაც გახმოზა ვერ ასცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს.

სამშობლოს დამკარგველი ერი ვერ დაიცავს თავისს არსებობას, ვერ გააგრძელებს სიცოცხლესა, და თუნდაც გააგრძელოს, თუნდაც მოიპოვოს სიმდიდრე ვაჭრობით და მრეწველობით, მაინც და მაინც ყოვლად უბედურ იქნება, იგი დამესგავსება ბოგანო ადამიანისა, რომელსაც საკუთარი მიწა და კერა არ გააჩნია. იგი ილაწლაწებს ერთი ქვეყნიდან მეორეში, ყველგან იგი იქმნება უცხო, ყვლეგან მოძულებული სტუმარი, ყველასგან დაბრიყვებული, დაბალი ღობე, რომელსაც გასთელავს ყოველი გამვლელ-გამომვლელი. აი, რისთვის საჭიროა უკიდურესად საჭირო, რომ ქართველობამ სავსებით შეირჩინოს თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში ჩააგდოს.

მაგრამ ეს არა კმარა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართველთა სამკვიდრებელი მამული წინად ბევრად ვრცელი იყო, ვიდრე ახლა-დროთა უკუღმართმა ბრუნვამ დიდი ნაწილები ჩვენის ქვეყნისა მოსწყვიტა მას. ახლა ზოგი ეს ნაწილები ძლიერმა რუსეთმა ჩვენის მონაწილეობით შემოიერთა. იგინი მორწყულნი, გაუღენთილნი არიან ჩვენთა მამა-პაპათა სისხლით, რომელნიც ათასი წლის განმავლობაში მათ იცავდნენ აუარებელ მტერთაგან. ქართველობა გამრავლდა აღარა ყოფნის მამული, ბევრი ჩვენგანი მოკლებულია სახსარს ცხოვრებისას. ამიტომ, ელემენტარული სიმართლე მოითხოვს, ღათა ქართველებსაც დაედოთ წილი ამ ახალ შემოერთებულის ქვეყნების მამულებში, რადგანაც მრავალი მიდის ოსმალეთში. ქართველობა ყველაზედ უფრო კარგად შეიმშენვეს ამ კუთხეების ჰაერს და ბუნებას, და საუკეთესო ძმურს მეზობლობას გაუწევს იქ დარჩენილს ქართველ მაჰმადიანებს. თუ ეს უფლება აქამდინ მოპოებული არა გვაქვს, ეს იმისი ბრალია, რომ დაუდევრობას, უზრუნველობას ვიჩენდით და ვიჩენთ. ჩვენ რომ ამ შემთხვევაში მხნედ მივყოლოდით სახარების მოძღვრებას: „ ირეკდით და განგელებათ, ეძიეთ და იპოოთ“, საქმედ წალმა დატრიალდებოდა.

მეორე ბურჯი ერის აღორძინებისთვის გახლავთ სამშობლო ენა. ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერილზეა შეჩერებული, ერის წინ მსველობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და ლატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება,

უმღურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინს მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება. არა უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს სამშობლო ენის სამსახური, როგორც დედინაცვალს შეუძლია დასდოს ბავშვს ღვიძლი დედის ამაგი, საშინელს მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი და იგი მას რიგიანად ვეღარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სკოლა ცუდად მოქმედებს თვით სახლობაზე, აქაც სუსტდება ღვიძლი ენა. ამის გამო სრული მეტყველება ერში იკარგება და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუნჯებული ბრბოსა, სუსტი ენა ჰბადავს სუსტს გრძნობას, სუსტს აზრსა, სუსტს ხასიათსა და ერს ცხოვრებაში დგება ის უბედური ხანა, რომელსაც ერთმა რუსმა სწავლულმა და პროფესორმა- პოტებნიამ დაარქვა: „Период мерзости запустения“. ამ უბედურს ხანას, ამ мерзости запустения -სა თავის სასარგებლოდ იყენებენ მოცილე ერნი და ნახევრობით დამნჯებულს, დაქვეითებულს ხალხს ხელიდან აცლიან მიწა-წყალს, დოვლათს და ყველა ეროვნულს საუნჯეს.

ეს ხანა, ბატონებო, ჩვენდა სავალალოდ, უკვე დადგა ჩვენში. ჩვენ ქართულად კი აღარ ვლაპარაკობთ, ვჩმახავთ, რიგიანად ვეღარ ვხატავთ ქართულს ენაზე ჩვენთა გრძობათა, ჩვენთან აზრთა, ჭაპან-წყვეტით და ვაივაგლახით ვსაუბრობთ. წამდაუწუმ გადავდივართ რუსულს ენაზე; მაგრამ აქაც სრული მეტყველების ნაცვლად რაღაც უგვანო ჟარგონი ისმის ჩვენი პირიდან. და თუ ჩვენში მოიპოვებიან კარგი რუსულის ენის მცოდნენი, ისინიც მხოლოდ მათ შორის, რომელთაც, რაღაც ბედნიერი შემთხვევით, წინად კარგად შეუთვისებიათ ქართული მეტყველება.

ამ შენს წამალი უნდა და ერთი უებარი წამალიც იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ენა გახდეს სავალდებულო, შტატის საგნად ყოველგვარის ჩვენებურს სასწავლებლებში, როგორც დაბალში, ისე საშუალოში, რუსულ ენასთან თანასწორად.

მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლებიათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამაღლებულა ზნეობით, ავსილა დოვლათით. მთელი ევროპის ისტორია უტყუარი მოწამეა ამისი, მეტადრე შოტლანდიისა და ინგლისისა. საქართველოში კაი ხანია გაიხსნა სახალხო სკოლები და ბევრი სოფელი ინახავს მათ. ამ სკოლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო გლეხთათვის, არამედ აზნაურთათვისაც, რადგანაც ჩვენში წვრილმანი აზნაურობა მრავალრიცხოვანია და იგი თავის შვილებს სახალხო სკოლებში ზრდის. ჩვენიშიაც მოელოდნენ სკოლებიდგან დიდს ნაყოფს, დიდს კეთილ გავლენას, მაგრამ იმედი დაცრუვდა. თუ ჩვენ შევადარებთ იმ სოფლებს, სადაც სკოლის ჭაჭანებაც არ არის, აღმოჩნდება, რომ სკოლიანი

სოფლები სჯობიან უსკოლო სოფლებსა. მამასადაძამე, ჩვენში სკოლა თითქმის უნაყოფო დაწესებულებად გადაქცეულა. ჩვენებური სკოლა არამც თუ ცოდნას არ ფენს ერში და ზნეობას არ აუკეთესებს, დანაშაულობას არ ამცირებს, არამედ რიგიანს წერა-კითხვასა ვერ ასწავლის და ვერც ქართულად და ვერც რუსულად. როცა ოთხის წლის წინად რუსეთსა და კავკასიაში იყო საზოგადო აღწერა მცხოვრებთა, წერა-კითხვის მცოდნენი სრულიად არ აღმოჩნდნენ ზოგს იმისთანა ქართულს სოფელში, სადაც სკოლა მოქმედებდა ყოველ წლივ მეოთხედის საუკუნის განმავლობაში, პოლიციელები იძულებულნი იყვნენ თვითონ ჩაეწერათ დარიგებულს ფორმებში ცნობები მცხოვრებთა შესახებ. ეს ამბავი თავისს დროზედ გამოამჟღავნეს რუსულმა სატახტო გაზეთებმაც და აღიარეს უნაყოფობა კავკასიის სახალხო სკოლისა.

რასაკვირველია, დიდს ნაყოფიერებას ევროპიულის სკოლისას და სამწუხარო უნაყოფობას ჩვენებურის სკოლისას თავისი მიზეზი აქვს. მიზეზი ესე მდგომარეობს იმაში, რომ პირველი სკოლა საღს პედაგოგიურს პრინციპებზე არის აშენებული და განწყობილი, ხოლო მეორე ამ პრინციპებისათვის ზურგი აქვს შექცეული, ჩვენებურმა სკოლამ მოწაფეთა განვითარებას, ცოდნის გავრცელებაც, ზნეობის გაუმჯობესებაც, სარწმუნოების დანერგვაც სავსებით ანაცვალა ერთს ფორმალურს სურვილს - რუსულის ენის სწავლებას, და ამ წადილსაც ვერ მოეწია. ვერ მოეწევა, რადგანაც საცა მარტო მეხსიერება ვარჯიშობს და გონება კი დაჩაგრულია, იქ ფორმალური ცოდნაც ვერ მოიკიდებს ფეხსა. ჩვენებური სკოლა მხოლოდ მაშინ აღასრულებს თავის მაღალდანიშნულებას და შეიქნება ნაყოფიერ დასწესებულებად, როცა იგი კეთილად მოეწყობა. ამ კეთილმოწყობისთვის საჭიროა შემდეგი გეგმის დამყარება: 1) კურსი ჩვენებურის სახალხო სკოლისა უნდა გახდეს ოთხწლიანი, ნაცვლად ახლანდელის სამის წლისა, როგორც ეს განაწესა უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტრომ და უწმიდესმა სინოდმა, რომელთაც საჭიროდ სცნეს არარუსთათვის ერთის წლის მიმატება; 2) როგორც რუსულს სკოლაში სწავლება ყველა საგნებისა მიდის მშობლიურს ენაზედ, ისე ქართულს სკოლაში სწავლის ღონისძიებად ყველა საგნების უნდა შესახებ იყოს დედა-ენა, თანახმად სახელმწიფოს რჩევის გადაწყვეტილებისა, რომელიც ბრძანებს: „Орудием первоначального обучения для каждого племени должно быть родное наречие его“ („свод законоположений о начальных народных школах“); 3) ქართულს ენას უნდა ყოველდღე დათმობილი ქონდეს ორი გაკვეთილი მთელის კურსის განმავლობაში; 4) რუსული ენა და წიგნი უნდა ყოველდღე ისწავლოებოდეს არა უადრეს მეორე წლისა და ისე ბეჯითად, რომ მისი პირველდაწყებითი კურსი მთლად გაათაონ მეოთხე წლის ბოლოსა. ამგვარად მოწყობილი სკოლა ცოდნასაც შესძენს მოწაფეებს, ზნეობასაც აუმაღლებს, სარწმუნოებასაც დაუნერგავს გულში და ორსავე ენას საფუძვლიანად შეათვისებინებს.

რაც შეეხება საშუალო სასწავლებლებს ამ მხრივ ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მათში ძლიერ მცირეა ქართველთა რიცხვი. რაღონისძიებანია საჭირო მათ გამრავლებისათვის, ამას მე ცალკე გამოცემა ვუძღვენი ამას წინად რუსულს ენაზედ და აღარ განვმარტავ. მე მხოლოდ მოკლედ დავასახელებ ნაჩვენებ ღონისძიებათა: 1) ყოველ საშუალო სასწავლებელთან აქეთა და იქითა საქართველოში უნდა დაარსდეს დაბალი მოსამზადებელი სკოლები, განსაკუთრებით

ქართველი ბავშვებისთვის, სადაც ცვენის ღარიბი სოფლის შვილებს შეეძლოთ მომზადება რუსულს ენაში და სხვა საგნებში: 2) სწავლის ფასიდან უნდა განთავსებულ იქმნას ყველა ღარიბი ქართველი: 3) ქართველებს სახელმწიფო პანსიონებში მეტი ადგილი უნდა დაეთმო: 4) საჭიროა დაარსდეს ქართველთათვის ესრედ წოდებული ინტერნატები, ანუ პანსიონები, სადაც იცხოვრებენ გარედგან მოსიარულე მოწაფეები, და რომელთა შესანახავი ხარჯი ნახევრობით უნდა იკისროს თვით მთავრობამ, და 5) ახალი საშუალო და სპეციალური სასწავლებლები უნდა დაარსდნენ ამის შემდეგ ქალაქებს გარედ, სოფლებსა და დაბებში, როგორც ეს საჭიროდ დაინახეს და შემოიღეს უკანასკნელს წლებში დაწინაურებულს ევროპაში.

მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ აღარულებდა თავის მაღალს დანიშნულებასა, მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰფინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შექმნა სასულიერო ლიტერატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც კი გახდა ასპარეზად სახარების ძლევაძმოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიონში დიდი ადგილი დააჭერინა მართლმადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა, ახლა რაღასა ვხედათ ? მონასტრები და ეკლესიები დაცალიერდნენ და დღითიდღე უფრო ცალიერდებიან, სახარების ქადაგება იშვიათად ისმის და ისიც ისეთი ენით, ისე უგულოდ, რომ ხალხზე არავითარი გავლენა არა აქვს, სარწმუნოებრივი გრძნობა ჩამქრალა, ზნეობა დაეცა, წარმართულნი, პირტყული მიდრეკილებანი და უფრო და უფორი იღვიძებენ და ძლიერდებიან.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზენობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა, ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული, იმპერატორების დროის რომი ბევრით სჯობდა ცოდნით ძველს რომსა, მაგრამ პირველი მუდამ იმარჯვებდა უძლიერესს მტრებზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა; მეორე კი უფიცმა, ველურმა ხალხებმა ფეხქვეში ჩაიგდეს, გათელეს და შემუსრეს, იმიტომ რომ ზენობირივი გახრწნილობით იყო შეპყრობილი, ჩვენს ერსაც იმისთანავე ბოლო მოეღის, თუ სკოლა ეკლესია არ ჩავარდნენ თავისს კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავისი მაღალის დანიშნულებისა.

ეკლესიის სულსა და გულს შეადგენს, როგორც მოგეხსენებათ, სამღვდელოება. ჩვენში უკიდურესად დაქვეითებულია და ბევრად დაბლა სდგას თვით რუსეთს სამღვდელოებაზედაც. როგორ და რა გზით უნდა ამალდეს იგი? ამისთვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა, რომ მან სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში მიიღოს უფრო შესაბამი მომზადება და იმდენადვე შეითვისოს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, სასულიერო და საერთო, ქართული ისტორია, რამდენადაც რუსეთის სასულიერო ახალგაზრდობა ითვისებს რუსულს ენას, ლიტერატურას და ისტორიასა. ამის გარდა, მიუცილებლად საჭიროა, რომ

საღვთისმეტყველო საგნები მაინც ისწავლებოდეს როგორც დაბალს, ისე მაღალს კლასებში ქართულს ენაზე, რათა მომავალმა მწყემსებმა ღრმად შეითვისონ როგორც შინაარსი, ისე ენა ღვთის მეტყველებისა, ის ენა, რომელზედაც იგინი მოვალენი არიან სამწყსოს უქადაგონ მაღალი სწავლა სახარებისა.

ჩვენში, ქართველებში, სარწმუნოებას მეტად ასუსტებს ის გარემოებაც, რომ საღმრთო სჯული ყველა სასწავლებლებში ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ რუსულზედა. უმაგალითოა ასეთი დაბრეყება ქართველობისა; რუსეთის იმპერიაში ასობით სცხოვრობენ სხვადასხვა ერები, სხვადასხვა სარწმუნოების მალიარებლნი; და რომელის ენაზე სწავლობენ ესენი საღმრთო სჯულისა? მხოლოდ დედა-ენაზე, ყველანი დედა-ენაზე; რუსულ ენა ამათ შორის არავითარ მონაწილეობას არ იღებს საღმრთო სჯულის გაკვეთილებში. მხოლოდ ქართველობა შეადგენს სავალალო გამოკლებასა. ამ დაბრეყებას სამგვარი ვნება მოაქვს: სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველს მოსწავლეს არამც თუ არ უვითარდება, არამედ უსუსტდება და უჭკნება. ეს იმიტომ, რომ სარწმუნოება გულის სფეროა, ხოლოდ გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა, ყოველი უცხო ენა აქ, როგორც ენა მეხსიერებისა, უძღურია. როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა. მეორედ, როცა სხვა ერების შვილები თავისს დედა-ენას სწავლობენ საღმრთო სჯულის გაკვეთილებზედაც, ქართველი ბავშვები სრულიად მოკლებულნი არიან ამ სიკეთესა. მესამედ, სხვა ერების შვილებს მოძღვრებად ჰყავთ ღვიძლი შვილები თავისი ერისა, ნამდვილნი მამანი, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა კი უცხო მამინაცვლების ხელშია და მოკლებულია მშობლიურს გავლენასა. მიუცილებლად საჭიროა, რომ ქართველობამ ეს დაბრეყება და უკიდურესი უსამართლობა თავიდან აიცილოს და მთავრობასთან დაჟინებულად იშუამდგომლოს, რომ საღმრთო სჯულის სწავლება, როგორც დაბალს სასწავლებელში, ისე საშუალოში ქართველის ყმაწვილებისათვის აწარმოვონ მათს დედა-ენაზე.

მაგრამ ყველა ეს ცვლილება და სხვებიც მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფსა, როდესაც საქმე სათავეშივე გასწორდება და ქართველი ეკლესიის მეთაურად გახდება ღვიძლი შვილი თავისი სამწყსოსი, რომელიც მოუძღვებს ბოლოს გადაგვარების პოლიტიკას და ჩვენს ეკლესიას ჩააყენებს სახსრების კალაპოტში.

ერთს ძირითადს სენს ჩვენის ქვეყნისას შეადგენს ის სავალალო მოვლენა, რომ ბატონყმობა, გადავარდნილი ჩვენში ფორმალურად 1864 წელსა, ორმოცის წლი წინად, დღემდინ ჩვენში ფაქტიურად არსებობს, დღემდინ ჩვენებური საწყალი გლეხები მოვალენი არიან აძლიონ მემამულეთ მეოთხედი მოსავლისა და სხვაგვარადაც ემსახურონ მათ. ეს სენი რუსეთში იმავ თავით მოისპო, და ჩვენში კი ისევ მძვინვარებს. მართალია, ამიერკავკასიის სხვა გუბერნიერბშიაც დარჩენილია ეს ხინჯი, მაგრამ ბევრად აქვთ ვიდრე ჩვენებსა და აძლევენ მხოლოდ მეთედს მოსავლისას, საქართველოს გლეხები კი განიცდიან უკიდურესს ნაკლებულობას მიწისასა და ამასთან იძულებულნი არიან იხადონ მეოთხედი მოსავლისა, რაც მათ აუტანელს გაჭირვებაში ამყოფებს. დროა, დიდი ხანია დროა ბოლო მოეღოს ამ სოციალურს განგრენასა...

ერისთავის აგრეთვე საჭიროა ესრედ წოდებულნი მოხელეობრივი უფლებანი. კარგი, სვინიდისიერი მოხელე, მცოდნე ხალხის ცხოვრებისა, მისი ჭირ-ვარამისა და ამასთან გულშემატკივარი, ქვეყანასაც ბევრს სიკიეთესა სძღვნის და თვითონაც შოულობს სახსარს ცხოვრებისას. კარგა ბლომა ნაწილი განათლებულის ქართველობისა იმგვარს მდგომარეობაშია, რომ სამსახურის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიან. აი რისთვისაა საჭირო, რომ ჩვენ სრული უფლება მოგვეცეს ამ მხრივ და თანასწორი ვიყვნეთ ერთმორმწუნე რუსებთან. მოგეხსენებათ, რომ უფლების ჩამორთმევა შედეგია რაიმე დიდი დანაშაულისა; ხოლო ქართველობას ერთგულების მეტი არც უწინ მიუძღოდა და არც ეხლა მიუძღვის... მაშ, რის გამო მოხდა, რომ წინად ვორონცოვისა და დიდმათავრის მიხეილ ნოკოლოზის ძის დროს ქართველებს ეჭირათ მრავალი მაღალი ადგილები, ხოლო ახლა კი დაბალს ადგილებზედაც აღარ ამწესებენ ?!

დიაღ, ბატონებო, საჭიროა, ფრიად საჭიროა თავიდგან ავიცილოთ ყველა ეს დიდი დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ელობებიან ჩვენის ქვეყნის წარმატებას, გვასუსტებენ, გვადარიბებენ, გადაშენების გზაზე გვაყენებენ და გვიქადიან გაქრობას პირისგან მიწისა. ამას მოითხოვს არა მარტო საქართველოს სიკეთე, არამედ რუსეთის სახელიცა. სხვა არა იყოს რა, რას იტყვის ისტორია, თუ ხსენებული შიში ასრულდება იგი იტყვის: „ საქართველო მთელი ათასი წლობით ებრძოდა აუარებელს მტრებსა, გადალახა, როგორც იყო დიდი ისტორიული ოკეანე, რომელზედაც წამდაუწუმ ებრძოდა სამინელ ქარიშხალსა, და ბოლოს მიაშურა და მიადგა რუსეთის ნავთსადგურსაო. მაგრამ იმედი გაუტრუვდა, ნავთ სადგური ჭაობად აღმოუჩნდა, და მრავალტანჯული ერი ჩაიფლო შიგ და ჩაირჩოო“

რათა ეს ასე არ მოხდეს და ასე არ ითქვას, საჭიროა ჯეროვანი და დასაბუთებული შუამდგომლობა იკისროს მთავრობის წინაშე იმისთანა დაწესებულებამ, რომელსაც კანონი აძლევს ამის ნებასა. რუსეთში ამისთანა შუამდგომლობას კისრულობს ერობა, მაგრამ იგი საქართველოს ჯერ არ ღირსებია, თუმცა ქართველი ხალხისათვის ერობა ნაკლებ საჭიროა და სასარგებლო, ვიდრე რუსთათვის. ჩვენში ერთადერთი წოდება, რომელსაც აქვს მინიჭებული ამისთანა შუამდგომლობის უფლება, არის თავადაზნაურობა. იგი მოვალეა, როგორც უფლებიანი და დაწინაურებული წოდება, იხმაროს ყოველი ღონისძიება, ყოველი შუამდგომლობა იკისროს, რათა მთელს ჩვენს ერსა და თავის თავსაც ააცილოს თავიდგან ის დიდი დაბრკოლებანი, რომელნიც გზაზე ელობებიან ჩვენს არსებობას და წარმატებას, და ჩვენი საშიში და მეტად გაჭირვებული მდგომარეობა გარდააქციონ საიმედო, მომავლიან მდგომარეობად.

თავადაზნაურობის შუამდგომლობას ზურგი უნდა გაუმაგროს ჩვენებურმა პრესამ, რომელაც უნდა ხმამაღალი ღაღადისი გააჩალოს ორსავე ენაზე, როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო გაზეთებში საქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობაზე, დასახელებით იმ რეფორმირებისა, რომელთაც შეუძლიანთ ფეხზე დააყნონ იგი.